დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „თსუ“) პროფესიული სტუდენტის (შემდგომში - „სტუდენტი“) შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.
2. თსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს; ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.
4. სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც მტკიცდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 2. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინებით, ცენტრის ხელმძღვანელი ამტკიცებს სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის (შემდგომში - „ვერიფიკაცია“) ჯგუფის შემადგენლობას და მის ხელმძღვანელს.
2. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში ან პროგრამის განხორციელების პროცესში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
3. ვერიფიკაციის გეგმა უნდა შეთანხმდეს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
4. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში იწყება ვერიფიკაციის პროცესი.

5. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება დადგენილი დროის რეგლამენტის დაცვით.
6. ვერიფიკაციის ჯგუფი, არანაკლებ კვარტალში ერთხელ, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და თსუ ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს დეტალურ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
7. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.
8. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, ცენტრი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორცსიელებელი აქტივობა, რომელიც პრობლემატური საკითხების მოგვარებისკენ იქნება მიმართული. ასევე, სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს: აქტივობების განხორციელების თარიღები, შესრულების ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი.

მუხლი 3. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა

1. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებათა ვერიფიკაცია.
2. სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ა) ვალიდურობას;
ბ) სანდოობას;
გ) გამჭვირვალეობას;
დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.
3. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
5. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის.
6. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის,- შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

7. შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა სტუდენტი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.
8. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შემდეგი საკითხების განსაზღვრას:
ა) რისკების სისტემა (შერჩევის მექანიზმი);
ბ) პასუხისმგებელი პირი;
დ) განმახორციელებელი პირი.
9. რისკების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით, შეფასების ინსტრუმენტში სტუდენტის დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება, სხვა ობიექტური გარემოებები, გაუთვალისწინებელი რისკები და აღნიშნული რისკის კოეფიციენტები.
10. რისკების რეესტრის შემუშავება ცენტრს დაეხმარება პროცესების მართვა/შეფასებაში. რისკების რეესტრში შესაძლოა აისახოს: გარემოებები (მაგ. დამწყები მასწალებლის ფაქტორი), შესაძლო რისკები (დაწესებულების მოსაზრება, რა შეიძლება იყოს შასაძლო რისკი), კოეფიციენტები (გარემოებები შესაძლოა დაიყოს შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად და მათ მიენიჭოთ შესაბამისი ქულები - დაბალი 1 ქულა, საშუალო 2 ქულა, მაღალი 3 ქულა, კრიტიკული 4 ქულა.).
11. რისკების რეესტრში არსებული გარემოებები ყველა არის რისკ-ფაქტორი, უბრალოდ, მათ შორისაც არსებობს განსხვავებები - არის რაღაც გარემოება მაღალი რისკის მქონე, ან საშუალო რისკის მქონე და ა.შ.
12. პირველ ეტაპზე ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება შესაძლოა ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში მოხდეს, შემდგომი ეტაპი კი მოიცავდეს დაბალ/საშუალო რისკებს.

მუხლი 4. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და პასუხისმგებლობის სფერო

1. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - პასუხისმგებელია ისეთ პროცედურებზე როგორიცაა:
ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;
ბ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
გ) ვერიფიკატორების შერჩევა;
დ) ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი;
ე) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;
ვ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
ზ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე;

თ) შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში);
ი) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

2. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობს ისეთ პროცედურაში, როგორიცაა:

ა) ვერიფიკატორების შერჩევა;
ბ) ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი;
გ) შეფასების ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;
დ) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ე) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
ვ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;
ზ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
თ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ი) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
კ) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;
ლ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
მ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
ნ) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება;
ო) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება;
პ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ჟ) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;
რ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა;
ს) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა;
ტ) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);
უ) ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

3. **ვერიფიკატორი (განათლება) - მონაწილეობს ისეთ პროცედურაში, როგორიცაა:**

ა) ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;
დ) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ე) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;
ვ) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;
ზ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;
თ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;
ი) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

4. **ვერიფიკატორი (დარგი) - მონაწილეობს ისეთ პროცედურაში, როგორიცაა:**

ა) ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
გ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
დ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ე) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
ვ) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება;
ზ) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;
კ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;
ლ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;
მ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

5. შემფასებელი - მონაწილეობს ისეთ პროცედურებში, როგორიცაა:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
გ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
დ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
ე) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება;
ვ) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება;
ზ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
თ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
კ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ლ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
მ) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;
ნ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

6. შემფასებელი - ინფორმირებული უნდა იყოს:

ა) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შესახებ;
ბ) რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

7. სტუდენტი - მონაწილეობს ისეთ პროცედურებში, როგორიცაა:

ა) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;
ბ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
გ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

8. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - პასუხისმგებელია ისეთ პროცედურებზე, როგორიცაა:

ა) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

9. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - მონაწილეობს ისეთ პროცედურებში, როგორიცაა:

ა) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;

ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;

გ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;

დ) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

ე) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;

ვ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

10. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ინფორმირებული უნდა იყოს:

ა) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შესახებ.